ჩვენი ცხოვრების სურათბი

გიორგი სოსიაშვილი გორის უნივერსიტეტის რექტორია,მრავალი საისტორიო გამოკვლევის ავტორი.მისი,როგორც ისტორიკოსის ყურადღების ცენტრში მოქცეულია შიდა ქართლი,მისი წარსული და დღევანდელობა.

თავის თეორიულ კონცეფციას იგი შლის მხატვრულ პროზაშიც ნოველების,მოთხრობების,ეტიუდების სახით.მეცნიერული თვალსაზრისი და მწერლური სამყარო აყალიბებენ ავტორის ერთ მთლიან წარმოდგენას მარად განუკურნელ ქართლის ჭირსა და ასევე მარად გადაუჭრელ ქართლის ბედზე.

ავტორი კარგად იცნობს ქართლის სოფელს,ყოფით გარემოს,ადამიანებს,მათ წუხილსა და სიხარულს.კონკრეტული სახელები,ტოპონიმები (მაგ.,ჯვარეთი,შუაცხვირის ტყე,ფოხალას გორაკი,ნაჭარხლარი,შამბირეთი,ზღუდრის გორაკი,ქოჩორა მთა),დიალოგები,კარგი თხრობა,სადა სტილი,აქტუალური თემატიკა და სხარტი სიუჟეტი დასახსომებელს ხდის როგორც მწერლის პერსონაჟებს,ისე ასახულ გარემოს.

ახალთაობამ ლიტერეტურაში მოიტანა აბსტრაქტული ხედვა,რაც გულისხმობს მშობლიური ადგილებისა და ეროვნული სატკივარის იგნორირებას.გიორგი სოსიაშვილი არ მიჰყვება ამ ტენდენციას.იგი რეალობის მხატვარია,ტუნდაც იმიტომ ,რომ რუსმა ოკუპანტებმა მის თვალწინ,მის ეზო-კართან გააბეს მავთულხლართები და გაჰყვეს ქართული მიწა.

ბუნებრივია,რომ ის განცდა,რაც აქვს მას როგორც მოღვაწესა და ისტორიკოსს,გადმოიტანა პროზაში და კონკრეტული დროის სურათები გადმოგვცა.უბრალო,მართლი,მშრომელი ადამიანები აამეტყველა.

გიორგი სოსიაშვილის პროზაში,ერთ-ერთი მთავარ ადგილს იჭერს ოსებთან მიმართების,ოს-ქართველთა ურთიერთობის საკითხი.ოსების მიღმა კი ყოველთვის იგულისხმება რუსი,რომელიც მოდის მშვიდობის სახელით,მაგრამ ყველგან შეაქვს კონფლიქტი,განხეთქილება და უნდობლობა:

სოფელში წვალებით ჩამოაქვთ საძირეები.ბაღს გააშენებენ.მაგრამ შემოდიან რუსის ტანკები და მსხმოიარე ხეებს ერთიანად გადათელავენ („საძირეები“) .ეს იმას ნიშნავს,რომ უცხო ძალას უნდა ქართველი ხალხის საფუძველი,ძირი მოსპოს.

აგვისტოს ომში დკარგულ შვილს დაეძებს ელიზბარი.იგი არც დაჭრილებშია,არც დაღუპულებში.გულმოკლული მამა ზაზას ნაცვლად „ეკალბარდებით დასისხლიანებული ხელებით მზეზე გამომშრალ უცნობი ჯარისკაცის ძვლებს ეფერება“ („ელიზბარი“).

რუსის ჯარისკაცებს კი გული სწყდებათ,გაზაფხულამდე მაინც დავრჩენილიყავით აქ,რამდენი გაუხსნელი ღვინის კასრი გვრჩებაო.

შინდისთან დაღუპული ჩვიდმეტი ქართველი მეომრის ხსოვნას ეძღვნება მოთხრობა“ჩვიდმეტნი“.იგი იწყება მოულოდნელი ექსპოზიციით-პატარა ბავშვები ომობანას თამაშობენ.ერთი მხარე ჩვენები არიან,მერე-„გერმანელები“.ეს თამაში ახსენდება ქართველ ჯარისკაცს გიოს,რომელიც ნამდვილ ომში აღმოჩნდა ჩართული რუსებისა და ოსების წინააღმდეგ.

მწერალი სხვადასხვა ვარიაციით არაერთხელ უბრუნდება ამ თემას,გვიჩვენებს ომში ადამიანთა ქცევას,შიშსა და უნდობლობას,გმირობასა და სიმამაცეს.პერსონაჟებს სხვადასახვაგვარი ბიოგრაფია აქვსთ,მაგრამ აერთიანებთ ომის ორომტრიალი.

ამირანი სიზმარშიც ოსებს ებრძვის,რომლებსაც მის ვენახში რთველი გაუმართავთ.ამან შეაგულიანა ბერიკაცი მიტოვებულ ვენახში შეიპარა.მტევნებს მიეფერა,ყურძენი დაკრიფა,რათა ზედაშე დაეყენებინა.გადაბუგულ ნასოფლარში კაცი არ ჭაჭანებს („ამირანის ზედაშე“).

ახლა ვნახოთ „ლომა,თაზო და ერთ დროს უთვისტომო რექსი“.აქაც იგივე ტრაგიკული სურათებია- ნასოფლარები,სოფლის გაყოფა,წყლის დაშრობა,რუსული თვითმფრინავის რახრახი,ქართველის და ოსის გაუცხოება.მაგრამ ემატება ახალი მოტივი-ეს არის ციმბირული ნაგაზის რექსის მონოლოგი.ძაღლსაც არ უნდა დამშეულ რუს ოკუპანტებთან ყოფნა.

შემზარავი სისასტიკეა ნაჩვეენბი ნოველაში „აღსარება მტრის საფლავთან“.ქართველ ტყვეს ოსები ათხრევინებენ სამარეს.განწირულს აგონდება ახლობლები-დედა,ცოლ-შვილი.ნუგეშად ის მიჰყვება,რომ ქვეყანას შეეწირა და საფლავი ქართულ მიწაში ერგო.ანდროს შეუბრალებლად კლავენ ხაზბი და ჩერმენა.

ამ სისასტიკის ფონზე იმედის სხივად ჩანს ოსი ქალის სახე,ვინც ვერ ეგუება ამგვარ ძალმომრეობას.

ქართველთა მხრიდანაც,როგორც ნოსტალგია გარდასულ დროზე,გამოკრთის ადამიანური გრძნობები,რათა არ წაიშალოს ძველი სიკეთე,ძმობა,ნათესაური კავშირები.

ქართველთა და ოსთა სიძულვილის ფონზე შთმბეჭდავია ახალგაზრდა-გიგა ფავლენიშვილის დონ-კიხოტური ახირება,ჩავიდეს ცხინვალში და გაიგოს თუ როგორ არის მისი კეთილისმყოფელი ოსი კოსტა,მოხუცი კაცი.ისინი ერთმანეთს შეხვდებიან,მაგრამ იმდენად დიდია სიკვდილის შიში,რომ გიგა მეორე დღესვე სტოვებს ცხინვალს („მთვლემარე წლები“) .

გიორგი სოსიაშვილი ჩვენი სინამდვილის კონცეფციური მხატვარია.იგი ცალკეული პერსონაჟებით,დიალოგებით გადმოგვცემს ეროვნულ დრამას,დეტალებით აღადგენს მთლიან სურათს,რეალურს და არა მიკერძოებულს ან რომანტიკულს.

იგი აჩვენებს რუსულ აგრესიასთან ერთად ქართველთა დამარცხების შინაგან მიზეზსაც.ეს არის შიდა დაპირისპირება და განხეთქილება,ეროვნული მთავრობის დამხობა,რამაც გააძლიერა სეპარატიზმი.

დიდი ემოციური დატირთვით და სიმართლით არის დაწერილი ნოველა „თედო“. თედო არის ის კაცი,ვინც იბრძოდა საქართველოს თავისუფლებისათვის,ვინც იცავდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას,როცა იგი ბუნკერში იყო მომწყვდეული : „მაღლა გრიალი გააქვს ყველაფერს.აპოკალიფსია მაღლა,ქართული აპოკალიფსი.შვიდრქიანი მხეცი დაძრწის.საყვირების ხმა ისიმის,მეორედ მოსვლაა საქართველოში,ცეცხლი უკიდია ყველაფერს,ცოტაც და ნაცარტუტად იქცევა ქალაქი.ცოტაც და ცეცხლის ენა გალოკავს ქართულ ღირსებას.ინგრევა ყველაფერი.ესვრიან,ესვრიან...რა იარაღი არ ჰქონიათ ქართველებს,რა იარაღი.ზანზარებს ყველაფერი,ტორტმანებს ქართული მიწა.ამ მიწას თუ ტორტმანი უნდა კიდე.სისხლის სუნი ტრიალებს ირგვლივ“.

თედომ ისე დატოვა ბუნკერი,რომ პრეზიდენტი ერთხელაც ვერ ნახა.იგი ერთი გულდამწვარი პატრიეოტიცაა,რომელიც პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით კარგად ხედავს,რომ „რუსული

ქვემეხებით დავანგრიეთ თბილისი,რუსული გეგმით მოვსპეთ ჩვენი მომავალი,რუსული გეგმით გავაქციეთ ჩვენი პრეზიდენტი“.

ისიც დონ-კიხოტია,ვინც ცდილობს მეგაფონით სიმართლე უთხრას რუს ჯარისკაცებს.მაგრამ ამგვარი თავგამეტების მიზეზი,რასაც შეეწირა კიდეც,არის ის,რომ თედო ხედავს,რომ ცხინვალის კატასტროფა თბილისის ტრაგედიის გაგრძელება და ლოგიკური დასასრულია.

მაგრამ ყველაფრის საფუძველი,თავი და თავი არის ბოლშევიზმი,საბჭოთა ხელისუფლება,რომელმაც დათრგუნა ადამიანი და მოამზადა პირობები ქვეყნის დასაშლელად თუ თავისუფლებაზე ოცნება ისევ გაივიძებდა.

ბოლშევიკური სისასტიკისა და შიშის ატმოსფეროს რეკონსტრუქციაა ვრცელი მოთხრობა „ნატყვიარი“.

წარმოდგენილია იმდროინდელი მმართველობის სტრუქტურა-ბოლშევიკი მიხა,აღმასკომის თავმჯდომარე შავაძე,სოფლიდან გასახლებული შაქრო,გლეხი დათა,რომლის გოგო გააუპატიურა მიხამ,სტიქაროსანი სერაპიონი,რომელიც ეკლესიის გუმბათიდან ჯვარს ჩამოხსნის,წვერგაკრეჭილი მღვდელი ეფრემი,რომელიც საცვლების ამარა გარბის სალოცავში,ეგონა,რომ ქრისტეს ფრესკას ესროლეს,ენატანია ბაქარი,შპიონი თაღრია-უპატრონო და ხეიბარი მეწისქვილე პეტრე,რომელიც ცილს სწამებს კეთილისმყოფელს და ამის გამო წისქვილთან ერთად თავს იწვავს.

კომუნისტური სამოთხე ასეთია-ებრძვიან ეკლესიასა და რელიგიას,ამოწყვეტენ მეღორე ბესარიონის ოჯახს,შაქროსა და მის ოჯახს გაქცევის ბრალდებით დახვრეტენ,გიგას ეზო-კარს წაართმევენ.

მხოლოდ დათოს აღმოაჩნდა პროტესტის გრძნობა და ხანჯლით კლავს ბოლშევიკ მიხას. დროის პარადოქსი:დახვრეტილი შაქრო ეგინაძის შთამომავალი ზაქრო სტალინისტია,ბელადის სურათებს აგროვებს,არქივშიც ეძებს გადანახულ ნახატებს.სტალინის სურათის სანაცვლოდ არქივარიუსი აწვდის საქაღალდეს,სადაც მისი წინაპრების დახვრეტის ოქმი დევს.

„სტალინის სურათის სანახავად მოვედი და პაპაჩემის დახვრეტის ოქმი კი შემრჩა ხელებში“,- ფიქრობს შეცბუნებული ზაქრო.

მიზეზების ძიებას ავტორი მიჰყავს ლენინისა სტალინის თემასთან,რაც ირონიულ კონტექსტში არის გააზრებული. („ლენინის მონატრება“ , „ბელადის ბედისწერა“).ადრე თუ გამწარებული ხალხი ლენინის ძეგლს თავზე ასკორავდა („ნატყვიარი“) , ახლა სტალინის ძეგლს ამწის მძღოლი შალვა არხეინად მოაძრობს კვარცხლბეკიდან: ადრე ეკლესიიდან ჯვარის ჩამომხსნელი სერაპიონი თუ იღუპება,ახლა შალვა ბელადს მარყუჟს ჩამოაცმევს,ულვაშზე ხელს მოკიდებს და დინჯად ბუტბუტებს- „ ესეც ჩვენი ბელადი“ .

დრო იცვალა,მაგრამ დარჩა მემკვიდრეობა,რომლის მწარე შედეგს დღევანდელი მოსახლენი არანაკლებ გრძნობენ,ვიდრე ისინი,ვინც ბოლშევიზმის ტირანიის დროს ეწამნენ.

გიორგი სოსიაშვილი,როგორც მწერალი და ისტორიკოსი,გვიჩვენებს დღევანდელ პრობლემებს,ეძებს მათ წარმომქმნელ მიზეზებს და სურათებად ალაგებს,რომელთაგან მკითხველს გამოაქვს ავტორის თვალსაზრისი.

„ნატყვიარის“ ავტორს განსაკუთრებით ემარჯვება დიალოგები.იგი ამოდის ყოფითი მეტყველებიდან,ყოფითი გარემოდან,თხრობას არ ტვირთავს ისტორიკოსის ცოდნით რაც,ერთ მხრივ,ინტელექტუალურ იერს შესძენდა პროზას,მეორე მხრივ-დაუკარგავდა ბუნებრივ

სისადავეს.მაგრამ მონოლოგის ფორმითაც ქმნის მღელვარე,ეფექტურ სურათებს (მაგ., „სოფია,ფრანც იოსების ხმალი და თაიგული სოფიასთვის“).

გიორგი სოსიაშვილი თხრობას იწყებს დიალოგით,ექსპოზიციის გარეშე.აქტუალური თემატიკა გაშლილია პერსონაჟთა ფიგურებად,სიუჟეტურ დრამად,შეფერილია დროისა და ადგილის კოლორიტით,რასაც ქმნის ონომასტიკა,ტოპონიმები,ზომიერი დიალექტური ფორმები,ცხოვრებისეული მასალა,სადაც ერთმანეთს ენაცვლება ტრაგიზმი და კომიზმი,ლირიკული მღელვარება და ეპიკური თხრობა:

„მომაკვდავ მზეს,რომელიც მთების უბეში გაჭრილ სამარეში ნელ-ნელა ეშვებოდა,სუდარად ეხურა დასალიერზე შედედებული წითელი ღრუბელი“ (“მთვლემარე წლები“) ;

„როგორც კი მრუმე ქსოვილი შემოეხვევა შამბირეთის მთებს,სროლა ატყდება და ისეთი შეგრძნება მაქვს,რომ მანათობელი ტყვიები,სივრცეს რომ ესვრიან,საბოოლოდ ჩემს გულში ცივდება“ („მთვლემარე წლები“);

„როგორც კერძს მარილი, ისე უნდა სევდა შემოქმედს.სევდის გარეშე არაფერი იწერება“ („სულში რომ გოვდება წუხილი“) ;

„მავზოლეუმამდე მივატანეთ,ციოდა,ციოდა,ზაფხულის მნათობის სხივები ლენინის განსასვენებლამდე ვერ აღწევდა.ისეთი შეგრძნება მქონდა ,რომ სადღაც ქვესკნელში ვეშვებოდით.ბნელი სადარბაზოს შუაგულში სინათლე ჩახჩახებდა და ელექტრონის შუქზე კანთიელად ჩნდა შუშის საკაცე,სადაც „ილიჩის“ ცხედარი ესვენა.

„მისთვის,ალბათ, ისევ რევოლუციების დრო იყო.ბრბოს ყიჟინა ,ადამიანების დახვრეტის მჭახე ხმა და განწირულ მსხვერპლთა გოდება ისმოდა. რევოლუციების დრო... მავზოლეუმში სისხლის ტალღების დგაფუნი მომეყურა“ (ლენინის მონატრება“).

ძნელია, კრიტიკოსმა რაიმე ურჩიოს მწერალს,რადგან შემოქმედების პროცესი არ ემორჩილება ცივ განსჯას. მაგრამ მე მაინც ვიტყოდი,რომ კარგი იქნება თუ გიორგი სოსიაშვილი თავის ნიჭს,ერუდიციას,გულისტკივილს აქცევს რომანად და იგი მიეძღვნება სამაჩაბლოს ტრაგედიას.